ხელშეკრულება #34

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 04 სექტემბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (ს/კ206047286)** (შემდგომში **„შემსყიდველი“**) და მეორეს მხრივ,**შპს „თუიუ“ (ს/კ206337472**) (შემდგომში **„მიმწოდებელი“**), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია,წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად,სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის მომსახურების, ნედლეულის და მარაგის (შემდგომში **„საქონელი“**) შესყიდვა;

1.2 დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები;**

1.3 შესყიდვის საშუალება: **გამარტივებული შესყიდვა;**

1.4 შესყიდვის საფუძველი: **მონეტარულიზღვრისდაცვით;**

1.5 **CPV კოდი (ძირითადი**):

22100000 - ნაბეჭდიწიგნები, ბროშურებიდასაინფორმაციოფურცლები**450,00 ლარი.**

1.6 **CPV კოდი (დეტალური):**

22140000 - საინფორმაციოფურცლები

22160000 - ბუკლეტები

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - **450,00 (ორმოცდაათილარი,00თეთრი) ლარს,**საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

მუხლი 3. ანგარიშსწორების ფორმა დავადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში– **ლარი;**

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე;

მუხლი 4. საქონლის ან მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

4.1შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმომწერუფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ლუიზა ხაჩატუროვა;

4.2 საქონელი ან მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინებული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 5. საქონლის ან მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის ან მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ლეხ კაჩინსკი 8, ბ.11;

5.2 საქონლის ან მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2020 წლის 04 სექტემბრიდან -2020 წლის 30 სექტემბრამდე.**

მუხლი 6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი ან მომსახურება იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლე დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით;
7.4 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
7.5 მხარე ვალდებულია 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენბით შეატყობინოს მეორე მხარეს;
7.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყრდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
7.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 8. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ, ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანარი, მიწისძვრადა სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფოეს–მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით;

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2020 წლის 30 დეკემბრამდე.**

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
საინდეტიფიკაციო კოდი: **206047286**
იურიდიული მის: ქ. თბილისი, ქ.წამებულის გამზ.#8
ფაქტიური მისამართი: **ქ.თბილისი, შოთა რუსთაველი გამზირი #2**
საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების **კოდი - 32-09-01-20**

Luisa Khachaturova
Digitally signed by Luisa Khachaturova
Date: 2020.09.17 19:25:08 +04'00'

_____

დირექტორი: ლ. ხაჩატუროვა

მიმწოდებელი:

შპს თუიუ
საინდეტიფიკაციო კოდი: 206337472
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ლეხ კაჩინსკი ბ.11
ბანკი:სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი:TBCBGE22
ანგარიშის #GE11TB1190836020100006GEL

George Davtyan
Digitally signed by George Davtyan
Date: 2020.09.05 16:35:42 +04'00'

/დირექტორი: გ. დავთიანი/

A